International Center for Journalists
Advancing Quality Journalism Worldwide

# ფულის კვალდაკვალ:

# ციფრული გზამკვლევი კორუფციის გამოსავლენად

პოლ კრისტიან რადუ



Romanian Centre for Investigative Journalism

ჟურნალისტიკის საერთაშორისო ცენტრი

# ფულის კვალდაკვალ:

# ციფრული გზამკვლევი კორუფციის გამოსავლენად

პოლ კრისტიან რადუ

თარგმნილია ნებართვით

ჟურნალისტიკის საერთაშორისო ცენტრი (ICFJ) იტოვებს უფლებას შეამოწმოს თარგმანის პროფესიული ხარისხი

ჟურნალისტიკის საერთაშორისო ცენტრის (ICFJ) ნებართვის გარეშე არ გაქვთ უფლება გააკეთოთ ამ სახელმძღვანელოს პირი, გაყიდოთ ან გამოაქვეყნოთ იგი. საწინააღმდეგო ქმედება აშშ–ს საავტორო უფლებათა კანონის თანახმად არის კანონდარღვევა.

## ავტორის შესახებ

ნაითის საერთაშორისო ჟურნალისტიკის სტიპენდიანტი პოლ რადუ ამავე დროს რუმინეთის საგამოძიებო ჟურნალისტიკის ცენტრის თანადამფუძნებელი და პროექტის კოორდინატორია. 2004 წელს მან ჟურნსლისტიკაში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ნაითის საერთაშორისო ჯილდო მიიღო. 2001 წლიდან 6 თვის განმავლობაში პოლ რადუ, ალფრედ ფრენდლის პრესის სტიპენდიანტი, სან ანტონიოში „ექსპრეს ნიუსში" მუშაობდა. რუმინეთის ტიმისუარის დასავლეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა რადუმ ჟურნალისტის კარიერა ადგილობრივ გაზეთში გამოძიებით ჟურნალისტიკაში რეპორტიორობით დაიწყო. ის აგრეთვე მუშაობდა გამომძიებელ ჟურნალისტად ბუქარესტში ნაციონალურ გაზეთ „ევენიმენტულ ზილეიში", სადაც მოგვიანებით გამოძიებითი ჟურნალისტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. რადუ მუშაობდა ბიბისი–ს საღამოს ახალი ამბებისთვის, ეი–ბი–სი –ს ახალი ამბებისთვის 20/20, ენ–ბი–სი–სთვის, სი–ბი–ეს–ისთვის და სხვა ახალ ამბებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის. რადუ არის გამომძიებელი ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმისა და რუმინეთის გამოძიებითი ჟურნალისტიკის ცენტრის წევრი. მშობლიური რუმინულის გარდა ფლობს ინგლისურ ენას, კარგად საუბრობს ესპანურად, ფრანგულად და იტალიურად.

## ჟურნალისტიკის საერთაშორისო ცენტრის შესახებ

ჟურნალისტიკის საერთაშორისო ცენტრი არაკომერციული პროფესიული ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიოში ჟურნალისტიკის დონის ამაღლებას, რადგან სწამს, რომ დამოუკიდებელი, ძლიერი მედია გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანების ცხოვრებაში. ამ პროცესს კიდევ უფრო აძლიერებს ნაითის საერთაშორისო პროგრამა ჟურნალისტებისთვის. ჯონ ს. და ჯეიმს ლ. ნაითის ფონდის მიერ დაფინანსებული ერთწლიანი სტიპენდიებით საერთაშორისო კლასის პროფესიონალებს აგზავნიან იმ სახელმწიფოებში, სადაც ხელისუფლების მიერ ანგარიშგასაწევი, საიმედო და სიღრმისეული ჟურნალისტიკის განვითარების პირობები არსებობს.

## მადლიერების გამოხატვა

საგამოძიებო ჟურნალისტიკის გლობალური ქსელის წევრებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოპოვება–შეგროვებაში. მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპოვეს კოლინ მერფიმ (ირლანდია), ელდინა პლეჰომ (ბოსნია-ჰერცოგოვინა), მირსად ბრკიჩმა (ბოსნია-ჰერცოგოვინა), ვლად ლავროვმა (უკრაინა), რომან შლეინოვმა (რუსეთი), ტომი კაასმა (დანია), ხელალ ნეზირიმ (მაკედონია), ალექსანდრე ბოზინოვსკიმ (მაკედონია), სტანიმირ ვაგლენოვმა (ბულგარეთი), სტეფან განდეამ (რუმინეთი), სტეფან დოჩინოვიჩმა (სერბეთი), ულვი აზადზადემ (აზერბაიჯანი), გიორგი მოლოდინმა (საქართველო), გუიდო მულენერმა (ბელგია) და მრავალმა სხვა გამომძიებელმა ჟურნალისტმა, რომლებიც ბალკანეთსა და მის ფარგლებს გარეთ მუშაობენ.

## სარჩევი

წინასიტყვაობა

სახელები, დაბადების თარიღები და თანამზრახველები

უცნაური ოფშორული კომპანიები

დამალული ოფშორი

საიდუმლო პლასტები

დავიწყოთ თევზაობა

სასამართლოს ჩანაწერები და ქსელის ძალა

პროგრამული შესაძლებლობები და ინტერნეტ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ანალიზი

მუშაობა ადგილზე და გლობალური თანამშრომლობა

უსაფრთხოება

კომპანიების შესახებ ინფორმაციის ინტერნეტით მოძიების ხერხები

ინტერნეტში მომუშავე გამომძიებელი ჟურნალისტისთვის აუცილებელი „ხელსაწყოები“

## წინასიტყვაობა

როდესაც ბუქარესტის საგამოძიებო ჟურნალისტიკის ცენტრის ჟურნალისტებმა ტრანსილვანიის შუაგულში მდებარე სოფელ როსია მონტანაში  ოქროს მოპოვების ოპერაციების გამოძიება დაიწყეს,  მათ არ იცოდნენ, რომ სულ  მალე აღმოაჩენდნენ გაცილებით ღრმად ფესვგადგმულ კორუფციულ ქსელს, რომელიც ხუთი ქვეყნის კომერციულ საწარმოებს აერთიანებდა.

კომპანიის სახელწოდებამ და მისი დამფუძნებლის გვარმა ჟურნალისტები რუს ოლიგარქებთან, აღმოსავლეთ ევროპის  მთავრობების ოფიციალურ პირებთან, საქვეყნოდ ცნობილი კორპორაციების ყოფილ თანამშრომლებთან და ნატო–ს ოფიციალურ პირებამდეც კი მიიყვანა.

დახლართული კავშირების სისტემა მაშინ გამოჩნდა, როდესაც ჟურნალისტებმა 20-მდე ქვეყნის კორპორაციულ ჩანაწერებში ჩაიხედეს. იქ გამოიკვეთა ყოფილ კომუნისტურ მთავრობებსა და საეჭვო დასავლურ კომპანიებს შორის არსებული კავშირები, ასევე გაირკვა, ისიც, რომ  აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკის დიდ ნაწილს კვლავაც კომუნისტური საიდუმლო სამსახურები მართავდა.

 ასეთი ბიზნესების მამხილებელი ათობით სტატია დაიბეჭდა რამდენიმე ქვეყანაში, ინტერნეტსაიტებზე, რითაც დამტკიცდა, რომ გამოძიებითი ჟურნალისტიკა უძლიერესი ინსტრუმენტია.

ხალხი ამ სტატიებს ინტერნეტფორუმებზე გამოეხმაურა, სხვადასხვა ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებმა წნეხის ქვეშ მოაქციეს პოლიტიკოსები, ხოლო ბიზნეს საზოგადოებამ ჟურნალისტების მიერ მოპოვებული მასალები გამოიყენა თავის კვლევებში, რომელიც სავარაუდო პარტნიორი კომპანიების ფინანსური მდგრადობის საიმედოობას ამოწმებდა (due diligence reports).  ამან გავლენა მოახდინა ჟურნალისტურ გამოძიებებში ნახსენები  კომპანიების მიმართ ინვესტორების დამოკიდებულებაზე.

შედეგად შეჩერდა ოქროს მოპოვების სამუშაოები ტრანსილვანიაში, რაც იქ მაცხოვრებლებს სახლების დატოვებას აიძულებდა  და უზომოდ აზიანებდა გარემოს,.

როსია მონტანას შემთხვევა არის გლობალურ გამოძიებათა სერიის ერთ–ერთი ნაწილი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია საზოგადოების სხვადასხვა ფენაზე.

ბოსნიაში, ჰერცოგოვინაში, ბულგარეთში, ხორვატიაში, რუმინეთში, სერბეთში და ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებში მოღვაწე ჟურნალისტები ტრანსნაციონალურ საგამოძიებო პროექტებში ყოფილ საბჭოთა ქვეყნებსა და დასავლეთში მყოფ პარტნიორებთან ერთად თანამშრომლობენ. სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე ჟურნალისტები ერთმანეთს ინფორმაციას უცვლიან იმ კრიმინალებისა და კორუმპირებული ოფიციალური პირების შესახებ, რომლებიც რთული სქემებისა და კავშირების მეშვეობით ხალხის ფულს იტაცებენ. ყველა სახელმწიფოში, სადაც გამომძიებელი ჟურნალისტები მუშაობენ, კონტინენტებზე გადაჭიმული საწარმოების დანაშაულებრივი ლაბირინთი ამ კომპანიების ჩანაწერების გაშიფვრის მეშვეობით აშკარავდება.

ბულგარეთის კორპორაციულ ჩანაწერებში გაჟღერებულმა სახელმა გამომძიებელი ჟურნალისტები ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მიერ ფულის გათეთრების სქემებამდე მიიყვანა. ფულის გათეთრება შავი ზღვის სანაპიროებზე უძრავი ქონების შეძენის გზით მიმდინარეობდა. უნგრეთში აღმოჩენილმა კორპორაციული ჩანაწერების კვალმა ჟურნალისტები რუსული ორგანიზებული დანაშაულის ყველაზე გავლენიან ბოსებამდე და გაზის ინდუსტრიაში მათ საეჭვო ინტერესებამდე მიიყვანა.

ფულის კვალის გაყოლა დღესდღეობით გახდა მზარდი გლობალური ინიციატივა, რომელიც ითხოვს მონაცემთა მოპოვების, გაანალიზებისა და ინტერპრეტირების ახლებურ ხერხებს და შესაძლებლობებს.

ეს სახელმძღვანელო მოგვითხრობს რამდენიმე მეთოდზე, რომლითაც გამომძიებელი ჟურნალისტები შეძლებენ ქვეყნის გარეთ მათთვის საჭირო ინფორმაცია მოიპოვონ. სახელმძღვანელო, გამომძიებელ ჟურნალისტებს აგრეთვე უზიარებს იმ ხერხებს, რომლითაც ისინი გახსნიან დახლართულ სქემებს და ამა თუ იმ კომპანიის მფლობელთა ნამდვილ ვინაობას დაადგენენ.

ჟურნალისტებმა, რომლებიც კომპანიების კვალს ეძიებენ საზღვარგარეთ, შეუძლიათ გამოიყენონ სახელმძღვანელოზე თანდართული ეროვნული და საერთაშორისო მონაცემთა ბაზების სია.



**სახელები, დაბადების თარიღები და თანამზრახველები**

ჟურნალისტური გამოძიების ესა თუ ის პროექტი ხშირად მხოლოდ სახელიდან იწყება. რამდენიმე წლის წინ საგამოძიებო ჟურნალისტიკის ცენტრმა ფრანგი ჟურნალისტისგან მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ანტინარკოტიკული ოპერაციის დროს დააკავეს მარსელში (ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში) მოქმედი ცნობილი განგსტერი.

პერლეტოს ბანდას კოკაინის უზარმაზარი პარტიები სამხრეთ ამერიკიდან ევროპაში გადაჰქონდა. ფრანგი ჟურნალისტის ინფორმაციის თანახმად, ფრანკ პერლეტოს სხვა ქვეყნების პასპორტებთან ერთად რუმინული პასპორტიც ჰქონდა.

რუმინელ ჟურნალისტებს რამდენიმე წუთი დასჭირდათ იმისთვის, რომ ბანდიტის სახელი რუმინეთის კომპანიათა რეესტრში გადაემოწმებინათ. მათ აღმოაჩინეს, რომ განგსტერს ადგილობრივ ცნობილ პირებთან ერთად რუმინეთში რამდენიმე კომპანია დაეარსებინა. თანადამფუძნებლებს შორის აღმოჩნდა რუმინეთის ჩოგბურთის ყოფილი ჩემპიონი, ილიე ნასტასე. ფაქტობრივად, გაირკვა, რომ ფრანგი განგსტერი და მისი კრიმინალური ჯგუფი რუმინეთის ხელისუფლების ცხვირწინ 10 წლის განმავლობაში „საქმიანობდნენ“.

მათი ოპერაციების რუმინული „განშტოება“ დაფარული იყო, სანამ ჟურნალისტებმა კომპანიათა რეესტრში არ ჩაიხედეს. პერლეტოსთან დაკავშირებით ილიე ნასტასემ განაცხადა, ფული მომცეს და დამპირდნენ, რომ სამხრეთ ამერიკულ ყავას ჩემს სახელს დაარქმევდნენო. სანაცვლოდ, მათი კომპანიები სახელმწიფო კონტროლისგან დაცული იქნებოდა. იმის გამო, რომ ნასტასე ეროვნული ელიტის წარმომადგენელი იყო, არც ერთი სამართალდამცავი სტრუქტურა მის კომპანიებს არ ეკარებოდა. სასაცილოა, მაგრამ, პერლეტოს ერთ–ერთი საწარმო ბუქარესტში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიციის შტაბის მეზობლად, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა.

ხშირია, როდესაც ორგანიზებულ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები ცდილობენ გვერდით ცნობილი და პატივსაცემი ადამიანები დაიყენონ და მათი სახელები კრიმინალურ საქმიანობაში გამოიყენონ.

სახელების კვლევა ხშირად ავლენს, რომ ბიზნეს-კომპანიების შესახებ მონაცემებს შორის ჩნდება ორგანიზებულ დანაშაულში მხილებული პირებისა და კორუმპირებული პოლიტიკოსების მიერ დაფუძნებული კომპანიები. ასეთ პირებს სურთ დამალონ საკუთარი ბიზნესინტერესები და ინტერესთა კონფლიქტები.

ბალკანეთის გამოძიებითი ჟურნალისტიკის ცენტრები რეგულარულად ამოწმებენ სახელებს, რომლებიც შესულია ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ახლად გამოცემულ ცნობარებში, განთავსებულია ვებ-გვერდ lexisnexis.com-ის მონაცემებში, ამერიკის სამთავრობო პუბლიკაციებში გამოქვეყნებულ იმ პირთა ჩამონათვალში, რომელთაც ეკრძალებათ ამერიკაში ბიზნესის კეთება, ასევე ინტერპოლის მიერ ძებნილთა სიებში.

სახელების მიხედვით მფლობელთა ვინაობის დადგენა ყველაზე პირდაპირი გზაა, თუმცა, საკმაოდ ხშირად კრიმინალები საკუთარი ვინაობის დასამალად გამოგონილ სახელებს, რამდენიმე მისამართს, დაბადების სხვადასხვა თარიღებს იყენებენ.

ზოგიერთ შემთხვევაში ისინი მაინც უშვებენ შეცდომებს, რომლითაც ე.წ. კომბინირებული კვლევის შედეგად მაინც შესაძლებელია მათი გამოთვლა. ერთმა რუმინელმა ქალბატონმა, რომელსაც სხვადასხვა დანაშაულის გამო ეძებდნენ, დიდ ბრიტანეთში რამდენიმე კომპანია გამოგონილი სახელებით დააფუძნა. ცრუ სახელები ასეთი იყო: მონა დე ფრეიტას, მონა ბრედლი, მონა ალტონ, მონა ოტფორდ.

მრავალჯერადმა ძებნამ lexisnexis.com –ზე, სადაც მოთავსებულია მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის კომპანიათა რეესტრს მრავალ ქვეყანაში, აჩვენა, რომ

ის მუდმივად ერთსა და იმავე სახელს, „მონას“ მიუთითებდა. ასევე უცვლელი იყო მისი მისამართი გაერთიანებული სამეფოს სურეის საგრაფოში, სამხრეთ ლონდონში, ასევე მისი დაბადების თარიღი. ძიებამ სახელისა და მისამართების მიხედვით მრავალ კომპანაისთან და გამოგონილ სახელთან მიიყვანა ჟურნალისტები. გამოაშკარავდა მისი კავშირები სხვადასხვა ბიზნეს კომპანიასთან და კრიმინალთან.

ჟურნალისტები და ძალოვანი სტრუქტურები სულ უფრო სიღრმეებში მიიწევდნენ, სამაგიეროდ კრიმინალები სულ უფრო მეტ საშუალებებს იყენებდნენ საკუთარი ვინაობის დასამალად. ორგანიზებულ დანაშაულში ჩაბმული პირები ხშირად იყენებენ უდანაშაულო მოქალაქეებს საკუთარი დანაშაულებრივი საქმიანობის კვალის დასაფარად. რამდენიმე წლის წინ გახმაურებული სკანდალი მოჰყვა ყველასთვის უცნობი, უნგრეთში ახლად დაარსებული კომპანიის დასახელებას ,,გაზპრომის'' ბუნებრივი აირის გაყიდვების შუამავლად. გაყიდვების არეალი დასავლეთი ევროპა იყო, ბიზნესი ასობით მილიონ ევროს ითვლიდა, მაშინ როდესაც არავინ იცოდა ვინ იყო ,,ეურალ ტრანსგაზი'' (Eural TransGaz).

კორპორაციულმა ჩანაწერებმა უნგრეთში აჩვენა, რომ კომპანიის მოწილეები რუმინეთის ქალაქ კლუჟ–ნაპოკაში მცხოვრები სამი მოქალაქე იყო. მონაცემები გაცვალეს რუმინელმა, რუსმა და უნგრელმა ჟურნალისტებმა.

რუმინელმა ჟურნალისტებმა მოინახულეს სამი დამფუძნებელი. ისინი აღმოჩნდნენ ოთხმოც წელს გადაცილებული ყოფილი მსახიობი ქალბატონები და მშობლებთან მცხოვრები ახალგაზრდა წყვილი.

არავინ არაფერი იცოდა არც გაზპრომის არც ,,ეურალ ტრანსგაზის'' თაობაზე და არც იმის თაობაზე, რომ ისინი იმ ბიზნესის მოწილეები იყვნენ, მილიონობით თანხებს რომ ითვლიდა. მხოლოდ ის ადარდებდათ, სად ეშოვნათ საჭმლისა და ტელეფონის ფული.

საეჭვო რუსმა ბიზნესმენებმა, რომლებსაც ,,ეურალ ტრანსგაზში'' საკუთარი ვინაობის დამალვა სურდათ, უნგრეთში მცხოვრებ ადვოკატს სთხოვეს მოეძებნათ მოქალაქეები, რომელთა სახელებით ისარგებლებდნენ კომპანიის დასაფუძნებლად და სამართავად. ადვოკატი რუმინელი მსახიობი ქალის ქალიშვილს იცნობდა. მისი მეშვეობით ისინი დაუკავშირდნენ ახალგაზრდა წყვილსაც, რომლებიც მისი ნათესავები არ იყვნენ, მაგრამ მეზობლად ცხოვრობდნენ. ამ მოქალაქეებს, რომელთაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ რა უნდა მომხადრიყო მათ თავს, მცირე თანხა შესთავაზეს მათი პასპორტებით უნგრეთში სარგებლობის სანაცვლოდ. დანარჩენი დეტალები არ იყო ცნობილი. თუმცა მსგავსი შემთხვევებიდანაც ნათელია, რომ

ჟურნალისტებს ყოველთვის შეუძლიათ აღმოაჩინონ კვალი და დაადგინონ კავშირები.

,,ეურალ ტრანსგაზის'' შემთხვევაში ქალიშვილმა ჟურნალისტები ადვოკატამდე და ბოლოს რუსებამდე მიიყვანა. ძალიან ხშირად თავიანთი ოჯახის წევრებისა და მეგობრების ნათესავებს იყენებენ ახალი კავშირების დასამყარებლად. პოლიტიკოსს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი ცოლი და შვილები იმისთვის, რომ ინტერესთა კონფლიქტს აუაროს გვერდი.

სახელები, რომელსაც მოიხსენიებენ კრიმინალურ გამოძიებაში, სხვადასხვა ქვეყნების კომპანიათა რეესტრებში და მონაცამთა ბაზებში უნდა გადამოწმდეს, რადგან ძალიან ხშირად ეროვნული ძალოვანი უწყებები იმ ქვეყნის საზღვრებს არ სცილდებიან, სადაც მუშაობენ.

უცხოეთის პრესის რეპორტაჟები და ოფიციალურ პრესრელიზებში არსებული მონაცემები, შესაძლოა, ძალზედ მნიშვნელოვან მასალად გადაიქცეს სხვადასხვა ქვეყანაში გამოძიებაზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის.



**უჩვეულო ოფშორული კომპანიები**

მეორე მხრივ, კრიმინალები და საეჭვო რეპუტაციის ბიზნესმენები პოლიტიკოსების მიერ შექმნილი სუსტი საკანონმდებლო სისტემებითაც კარგად სარგებლობენ. ეს ხდება, ე.წ. „დაცულ სამოთხედ“ წოდებულ ქვეყნებში, სადაც საბანკო და კომერციული საიდუმლოების საფარქვეშ ერთი ხელიდან მეორეში უზარმაზარი ფული გადადის.

ასეთი გზებით მოარული კაპიტალი გარდაიქმნება უძრავ ქონებად, ობლიგაციებად ან სხვა სახის ქონებად და შემდეგ ისევ ადრესატ ქვეყანებში ან სხვა გლობალურ ბაზრებში უკვე კანონიერი გზებით მიედინება. ასეთ ტრანსაქციებს აქტიურად სწავლობენ საერთაშორისო სამართალდამცავი სტრუქტურები, რადგან ისინი საერთაშორისო ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანაშაულთან და ფულის რეცხვასთან ასოცირდება.

იმის მიუხედავად, რომ ოფშორები ჩვენს წარმოდგენაში სადმე  კარიბის ზღვაში განლაგებულ კუნძულებს უკავშირდება, ხშირ შემთხვევაში ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა ავსტრია, შვეიცარია და ამერიკის შეერთებული შტატები არსებობს ოფშორის მსგავსი სისტემები, რაც საშუალებას აძლევს ბიზნესებს და ინდივიდებს დამალონ მფლობელთა ვინაობა და ხელი შეუშალონ გამომძიებლებს საეჭვო გარიგებებში ეჭვმიტანილი  კომპანიების მფლობელთა ვინაობის დადგენაში.

ვირჯინიის კუნძულებზე, კუნძულ მენზე, არუბაში ან ლიბერიაში არსებულ კომპანიებთან შედარებით ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე პირები უპირატესობას ანიჭებენ  ავსტრიაში არსებულ კერძო ფონდებს  ან კომპანიებს  აშშ–ს დელავერის შტატში.  ეს უკანასკნელი ,,დაცული სამოთხის“ ჯგუფის ქვეყნები მედიასა და სამათალდამცავების მიერ უკვე იმდენად დიდი ხანია  ფულის რეცხვასთან და საეჭვო გარიგებებთან ასოცირდება, რომ კომპანიის მათთან კავშირში ხსენებაც კი აზარალებს განზრახული ტრანსაქციების რეპუტაციას და ის მაშინვე ხდება საერთაშორისო სამართალდამცავების მონიტორინგის საგანი.

კარგად ცნობილი „დაცული სამოთხეები“ ცდილობენ აღიდგინონ რეპუტაცია და აჩვენონ, რომ ფლობენ კონტროლის მექანიზმებს. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ძირითად შემთხვევებში ასეთი იურისდიქციები გადასახადებთან მიმართებაში გამოიყენება.

2008 წელს ლიხტენშტეინი, ევროპის ერთ-ერთი სახლემწიფო, სადაც სულ 35, 000 მცხოვრებია, დიდად დაზარალდა, როდესაც ბანკის ყოფილმა თანამშრომელმა

სამსახურიდან მონაცემთა ბაზა მოიპარა და ევროპის ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებს მიჰყიდა.

ამ მონაცემებმა აჩვენა, რომ ლიხტენშტეინის ბანკებს არაერთი სახლმწიფოს მდიდარი მოქალაქეები გადასახადების თავიდან აცილების მიზნით იყენებდნენ. ამ „გაჟონვის" შედეგად გერმანიის ხელისუფლებამ, რომელმაც ინფორმაციის შემცველი დისკი შეიძინა, რამდენიმე თვეში 150 მილიონ ამერიკულ დოლარამდე დამალული გადასახადების უკან დაბრუნება შეძლო. აშშ, კანადა, ავსტრალია და ევროკავშირის ქვეყნები ასევე ფლობენ ამ მონაცემებს და ამავე მიმართულებით საკუთარ გამოძიებას აწარმოებენ.

ამ სკანდალმა არა მხოლოდ შეარყია ლიხტენშტეინის ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, არამედ გავრცელდა შვეიცარიასა და ლუქსემბურგზე - კიდევ ორ ქვეყანაზე, სადაც მიღებულია საბანკო საიდუმლოების დაცვა და ფინანსური ტრანსაქციების დახურული რეჟიმი.

ამან შვეიცარიის ბანკების ასოციაციის მეთაურს, პიერ მირაბოს იმდენად დააკარგვინა წონასწორობა, რომ შვეიცარიის ტელევიზიის ერთ–ერთ არხთან საუბარში განაცხადა, გერმანელი სამართალდამცავების მეთოდები გესტაპოს პრაქტიკას მომაგონებსო. მოგვიანებით მირაბომ ბოდიში მოიხადა მსგავსი შედარებისთვის.

ინფორმაციის მსგავსი გაჟონვა და გამოაშკარავება (whistle blowing) გახშირდა ჟურნალისტურ გამოძიებებში, რაც არასასიამოვნოა ბანკებისთვის, სხვადასხვა ინსტიტუტებისა და პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის, რადგან მათ კრიმინალური საქმიანობისაკენ უბიძგებს.

2008 წლის სექტემბერში მიმიწვიეს კუნძულ კვიპროსზე, სადაც (როგორი სახალისოც არ უნდა იყოს) იქაური მთავრობა ლიხტენშტეინის დაფინანსებით მასპინძლობდა კონფერენციას თემაზე, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ ფულის გათეთრებას ხმელთაშუა ზღვის რეგიონში.

ლიხტენშტეინის მსგავსად კვიპროსსაც ადანაშაულებდნენ ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფებისა და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი კომუნისტი ოფიციოზის ჭუჭყიანი ფულისთვის თავშესაფრის არაერთხელ მიცემაში.

კონფერენციაზე საერთაშორისო სამართალდამცავი სტრუქტურები და მთავრობის ოფიციალური პირები საუბრობდნენ იმაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობის ასამოქმედებლად.

2008 წლის ნოემბერში გლობალური ფინანსური კრიზისის კონტექსტში კიდევ ერთხელ იქნა ნახსენები ე.წ. ოფშორული „სამოთხეები" და მათ მიერ გლობალური ეკონომიკისთვის მიყენებული ზარალის მზარდი პრობლემა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ, ფრანგ და გერმანელ მთავრობის ლიდერებთან ერთად აღუთქვა საზოგადოებას, რომ ოფშორული ინდუსტრია „დაიხურება". მათ ოფშორულ არეალებს „გლობალური ფინანსური სამყაროს შავი ხვრელები" უწოდეს.

**დამალული ოფშორი**

ოფშორული კომპანიების ფორმირება ხდება ადვოკატების, იურისტების, აგენტების და შუამავლების მიერ. ისინი ქმნიან რთულ ბიზნესსქემებს იმისთვის, რომ მაქსიმალურად გაზარდონ მოგება და მინიმუმამდე დაიყვანონ გადასახადები.

ვებ-გვერდი http://www.off.shore.co.uk/faq/company-formation/ პოტენციური მომხმარებლებისთვის ნომინალური მოწილის ანდა დირექტორის ზურგს უკან კომპანიის რეალაური მფლობელის დამალვის შესაძლებლობას ქმნის: „ ნომინალური მოწილე ან დირექტორი არის მესამე მხარე, რომელიც უფლებას აძლევს ისარგებლონ მისი სახელით, რეალური მოსარგებლის, მფლობელის ან დირექტორის მაგივრად. ნომინალური მფლობელის გამოყენება რეკომენდებულია განსაკუთრებით ისეთი ტიპის იურისდიქციის პირობებში, როდესაც თანამდებობის პირების სახელები საჯარო ჩანაწერებში ფიქსირდება და ყველასთვის ღიაა. ნომინალური მფლობელის ვინაობა ასევე ღიაა და სწორედ ეს გარემოება იძლევა შესაძლებლობას დაიმალოს რეალური მესაკუთრე", – წერია აღნიშნული ვებ-გვერდის კითხვა–პასუხის განყოფილებაში.

იგივე მიდგომები გამოიყენება ათასობით აგენტის მიერ მთელ მსოფლიოში. ისეთი კომპანიების შესწავლისას, სადაც ნომინალურ მფლობელებს იყენებენ, გამომძიებელმა ჟურნალისტმა უნდა ეძებოს ნომინალური მფლობელების სახელები, რომლებზეც განსაკუთრებით დიდი რაოდენობის კომპანიები ფიქსირდება.

ცრუმაგიერი და რეალური მფლობელების იდენტურობის დასადგენად უნდა ჩატარდეს ყველა ამ კომპანიის საფუძვლიანი  კვლევა და მათი საქმიანობა უნდა გადამოწმდეს სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში.

ოფშორული იურისდიქციები, როგორიცაა კუნძული მენი, ცდილობენ აღიდგინონ რეპუტაცია  და ამიტომ ნომინალური მფლობელების აქტივობებს სწავლობენ. სამთავრობო ვებ გვერდზე IOM–მა დისკვალიფიცირებული დირექტორების სია გამოაქვეყნა.  ესენი აღმოჩნდნენ თაღლითურ ოპერაციებში ჩართული კომპანიების წარმომადგენლები.

ანალოგიორგად, დიდი ბრიტანეთის სავაჭრო რეესტრი გვთავაზობს დისკვალიფიცირებული დირექტორების სიას. კიდევ ერთი ,,დაცული სამოთხის“, გუერნსის მთავრობამ ფინანსური სამსახურებიც კი დააფუძნა. ეს არის ტრიბუნალი, სადაც ინტერნეტით შეღწევა შეგიძლიათ. ასეთი მონაცემთა ბაზები ძალზედ საჭიროა, როდესაც იწყებთ ჟურნალისტურ გამოძიებას ნომინალური მეპატრონეების თაობაზე.

სასამართლო პროცესები, რომელიც  ლონდონში კომერციულ თემებზე იმართება, შესაძლოა ასევე კარგი დასაწყისი გახდეს ჟურნალისტური გამოძიებისთვის, რადგან ასეთ პროცესებზე ხშირად ერთმანეთს ყოფილი ბიზნესპარტნიორები უპირისპირდებიან. მათ შესაძლოა გაამხილონ ერთმანეთის კავშირები ნომინალურ მფლობელებთან. მოგვიანებით მოგითხრობთ ასეთი ტიპის ჟურნალისტური გამოძიების ტექნიკის შესახებ.

მსგავსი სქემის კომპანიის დაფუძნების მთავარი მიზანი გადასახადებისათვის თავის არიდებაა. თუმცა, ზოგიერთი სახელმწიფო უკიდურეს ზომებს მიმართავს, როდესაც რეალური ბენეფიციარი მფლობელის ვინაობის დამალვას ცდილობს.

პანამა და ლიბერია არიან იმ ქვეყნების ნუსხაში, რომლებიც ყველა ღონეს ხმარობენ რეალური მფლობელების სახელების დასამალად.

პანამის კანონმდებლობით დაშვებულია კომპანიის  წილს ფლობდეს ფიზიკური პირი,  ასე ვთქვათ, წილის  „მტარებელი“ , რომელსაც აქვს  წილის მფლობელის სერთიფიკატი. თუმცა, მფლობელის ვინაობა  არ ფიქსირდება არც საჯარო რეესტრში და არც სხვა რომელიმე მონაცემთა ბაზაში.

ფაქტობრივად, პანამაში არც არსებობს საჯარო რეესტრი, ამდენად მთავრობამ არც კი იცის, ვინ ფლობს ასეთი ტიპის კორპორაციებს. წილები ხელიდან ხელში, შესაძლოა,

ისე გადადიოდეს, რომ ვერავინ ადგენდეს, ვინ არის, ან ვინ იყო წარსულში ამ წილების რეალური მფლობელი.

**ნომინალური მფლობელები და ცრუმაგიერი პირები მრავალ ოფშორულ „სამოთხეში“ კომერციული საწარმოების რეალური მფლობელების დასამალად გამოიყენებიან.**

**ისინი, ვინც რეალური მფლობელების დადგნას ცდილობენ, იყენებენ სასამართლო პროცესებიდან გამოსულ ინფორმაციას, სწავლობენ და აანალიზებენ სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ მონაცემთა ბაზებს. ასეთი მეთოდებით ისინი ადგენენ კავშირს ცრუმაგიერ და რეალურ მფლობელს, ანუ ბენეფიციარ მესაკუთრეს შორის.**

## საიდუმლო შრეები

იმის გარკვევა, თუ ვინ არის კომპანიის რეალაური მფლობელი, ძალზედ გართულებულია. სერბეთში, ბელგრადში არსებულ კომპანიას, შესაძლოა ფლობდეს როტერდამში, ნიდერლანდებში არსებული ფირმა, რომელსაც თავის მხრივ, შესაძლოა ფლობდეს ავსტრიაში არსებული კერძო ფონდი, რომლის ბენეფიციარი მფლობელები შესაძლოა იყვნენ რუსი ოლიგარქები. ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სქემაა.

ბალკანეთის ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს სქემები, სადაც მფლობელი კომპანიების ოცამდე შრეა. სახელის მიხედვით კვლევამ ჟურნალისტები მხოლოდ იურისტებამდე ან აქციონერებამდე მიიყვანა, მაგრამ ასეთი ვითარება არასოდეს უნდა განიხილოთ, როგორც ჩიხი.

ორგანიზებული დანაშაულის მონაწილე პირები, როდესაც ინფორმირებული პირების რაოდენობის შესაზღუდად ახალ კომპანიებს აფუძნებენ, ძალიან ხშირად არიან დამოკიდებული ერთსა და იმავე იურისტზე, ან ერთსა და იმავე აგენტზე. როდესაც ასეთ კომპანიებში იურისტის იდენტიფიცირება ხდება, მკვლევარებს შეუძლიათ მის სახელზე დაყრდნობით საკვლევი სისტემები გამოიყენონ, რითაც ასობით კომპანიას გამოავლენენ, სადაც ერთი და იგივე იურისტის სახელი და გვარი ფიგურირებს.

ასეთი ჩანაწერებისა და მონაცემების შესწავლა ხშირად გამაოგნებელი შედეგებით მთავრდება. ერთ-ერთ შემთხვევაში იურისტი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე საეჭვო გარიგებებში მონაწილეობდა, ამავდროულად ჩართული იყო სხვა

კომპანიებში, რომლებიც კრიმინალის ცოლს ეკუთვნოდა. ეს ქალბატონი ტანსაცმლის ბუტიკის მფლობელი იყო.

ასეთი ტიპის არაპირდაპირი, პარალელური კვლევები საბოლოოდ იმით მთავრდება, რომ ჟურნალისტები ადგენენ კომპანიის რეალური მფლობელის ვინაობას.

სარაევოს გამომძიებელ ჟურნალისტთა ცენტრის ჟურნალისტებმა მიაკვლიეს აგენტს (აგენტი, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის რეგისტრაციას ოფშორულ ზონაში) ოფშორულ კომპანიაში, რომელიც ბალკანეთში ენერგეტიკის თემაზე მიმდინარე არაერთ გარიგებაში მონაწილეობდა.

მათ იმ აგენტ ქალს დაურეკეს და უთხრეს, რომ ბოსნიაში მიმდინარე ენერგო გარიგებებთან მის კავშირზე დაწერას აპირებდნენ. აგენტმა მცირე ყოყმანის შემდეგ კომპანიის რელაური მფლობელის ვინაობა დაასახელა.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამ ტიპის კვლევამ გლობალური მასშტაბით ასობით კომპანია გამოააშკარავოს. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა მოდელისა და სქემის დასადგენად, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს შემდგომ თავში წარმოდგენილი ბერკეტები, რომლითაც სოციალური კავშირების გაანალიზება მოხდება.



**დავიწყოთ თევზაობა**

როდესაც საქმე პირებისა ან კომპანიების კვლევას ეხება, ონლაინ მონაცემთა ბაზები, ისეთი, როგორიცაა, lexisnexis.com, dialog.com, უამრავ შესაძლებლობას გვთავაზობს. მონაცემთა ბაზების მიხედვით კვლევის შესანიშნავი საშუალებაა ე.წ. „თევზაობა", რომელიც გვეხმარება სახელების დადგენაში.

ბუქარესტში საგამოძიებო ჟურნალისტიკის ცენტრმა წამოიწყო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პარლამენტის წევრთა სახელების კვლევას ისეთ მონაცემთა ბაზების საფუძველზე, როგორიცაა lexisnexis.com, Dun&Bradstreet, კომერციის საჯარო რეესტრი.

შვეიცარიის სავაჭრო რეესტრში აღმოაჩინეს რუმინეთის სენატის იურიდიული კომისიის ხელმძღვანელის სახელი. მას შვეიცარიაში ჰქონდა კომპანია, რომელიც რატომღაც ,,რუმინეთის სამთავრობო პროგრამის'' ნაწილად იყო წარმოდგენილი. როდესაც სენატორს შვეიცარიაში არსებული კომპანიის შესახებ ჰკითხეს, მან ჯერ გაიკვირვა, ეგონა, მეხუმრებიანო, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ამ კომპანიასთან მის კავშირს იძიებდნენ, ეცადა დაეყოლიებია ჟურნალისტები არ გამოექვეყნებინათ ეს ინფორმაცია.

როდესაც ბალკანეთში, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში თავიანთ კოლეგებს ატრენინგებენ, რუმინეთის საგამოძიებო ჟურნალისტიკის ცენტრის ჟურნალისტები მუდამ ქმნიან მონაცემთა ბაზებს იმ ქვეყნების კომერციული საწარმოების შესახებ, სადაც ტრენინგი მიმდინარეობს. მაგალითად, ინდონეზიაში, ჯაკარტაში მათ ჩაიტანეს ცხრილები, სადაც დიდ ბრიტანეთსა და შვეიცარიაში დარეგისტრირებული, ინდონეზიიის მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული კომპანიების სრული სია იყო წარმოდგენილი.

კორპორაციული დოკუმენტების ასეულ ათასობით გვერდი საინტერესო უნდა ყოფილიყო ინდონეზიელი ჟურნალისტებისათვის, რადგან მათ იქ შეეძლოთ ეპოვნათ სამხედრო და სამთავრობო პირები, რომლებიც ამ ქვეყნებში კერძო კომპანიებს ფლობდნენ.

ასეთი მონაცემთა ბაზა შესაძლოა გახდეს გზამკვლევი კორუფციის, ინტერესთა კონფლიქტების და სხვა დანაშაულის გამოსააშკარავებლად. დიდი ბრიტანეთი და შვეიცარია იმ ქვეყნებს შორის არიან, სადაც კორუმპირებული მაღალჩინოსნები და ორგანიზებული დამნაშავეები შავ ფულს ბანკებში კარგად აბინავებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ასეთი ადგილები ინფორმაციის გახმაურებისგან სრულიად დაცულია.

ამ ქვეყნების საბანკო კანონმდებლობა ზედმიწევნით იცავს ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობას.

გაერო-ს ანგარიში იარაღით გლობალური ვაჭრობის შესახებ რუმინელი ჟურნალისტებისთვის შემდეგი გამოძიების საფუძველი გახდა. გაერომ იმ კომპანიებისა და პირების სახელები გამოაქვეყნა, რომლებიც იარაღით ვაჭრობის უკანონო ბიზნესში იყვნენ ჩართული. ჟურნალისტებმა გვარები რუმინეთის სავაჭრო რეესტრის მონაცემებში არსებულ ინფორმაციას შეადარეს.

მათ იპოვეს იარაღის უკანონო ვაჭრობით დაკავებულ რუს ვიქტორ ბოუტთან დაკავშირებული კომპანიები. მისი კომპანია, „მფრინავი დელფინი“, რომელიც შარჯაში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში იყო დარეგისტრირებული, რუმინეთში კომერციულ საწარმოს ფლობდა და ბუქარესტის აეროპორტს იარაღის გადაზიდვებისთვის იყენებდა. ბოუტი 2008 წელს ჯაკარტაში დააკავეს აშშ–ს, რუმინეთის და ინდონეზიის სამართალდამცავების ერთობლივი სპეცოპერაციის შედეგად.

მეორე შემთხვევაში, რუმინელმა ჟურნალისტებმა რუმინეთის მოქალაქეებს ავსტრიაში მიაგნეს.

მათ ვენაში, ავსტრიაში აღმოაჩინეს კავშირი გადაუხდელი ვალების გამო გაკოტრებული ყოფილი სახელმწიფო ბანკის პრეზიდენტსა და ამავე ბანკისგან თანხების მსესხებელ ერთ–ერთ ჯგუფთან, რომელმაც ბანკს ვალი არ დაუბრუნა.

**სასამართლო ჩანაწერები და ინტერნეტის ძალა**

სასამართლო დავები, შესაძლოა, ზოგჯერ გახდეს ერთადერთი გზა, რითაც ჟურნალისტები შეძლებენ დიდი ტრანსნაციონალური ორგანიზებული ჯგუფების გამოვლენას. ყოფილი ბიზნეს პარტნიორები ფულზე დაობენ, და ზოგჯერ ასეთი დავები სასამრთლოში ინაცვლებს. როდესაც ეს ხდება, მათ შესაძლოა, გასცენ ინფორმაცია, რომლითაც ჟურნალისტები ისარგებლებენ.

ჟურნალისტებს შეუძლიათ დაკარგული კავშირების პოვნა და ამით კორუფციული სქემების ნაწილ–ნაწილ აღდგენა. ლონდონისა და აშშ–ს სასამართლოები არც თუ ისე იშვიათად ხდება ასეთი დავების პოლიგონი. ამ საქმეების მოძიება შეიძლება ისეთ საიტებზე, როგორიცაა Pacer, lexisnexis.com და სხვა.

2001 წელს ადვოკატი, რომელიც ტეხასის შტატში, სან-ანტონიოში სააგენტოს მეშვეობით ბავშვების გაშვილების საქმეებზე მუშაობდა და მისი ბიზნესპარტნიორი,

კალიფორნიაში მცხოვრები გაშვილების შუამავალი ორსონ მოზესი, ჩართულნი იყვნენ გაშვილების ჩაშლილ საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო დავაში. მოზესმა და სან-ანტონიოს სააგენტომ აღმოსავლეთ ევროპიდან ამერიკაში 1 000-მდე ბავშვის შვილად აყვანას შეუწყვეს ხელი.

სარჩელში სააგენტო შუამავალს ადანაშაულებდა იმაში, რომ მან დაუმალა მიმღებ მშობლებს ინფორმაცია ბავშვების სამედიცინო პრობლემების შესახებ, აშინებდა მათ, დააშორა ერთმანეთს ერთი დედ-მამის შვილები, რაც მთლიანობაში სააგენტოს $300.000 დაუჯდა.

არც მოზესი და არც სააგენტოს დირექტორი არ საუბრობდნენ ამ საქმეზე, რადგან ეს მათზე ნეგატიურად აისახებოდა. სააგენტო მოზესთან ერთად 10 წლის განმავლობაში მუშაობდა. სასამრთლოდან საქმის ჩანაწერების გამოთხოვნის შემდეგ დავიწყე ამ საკითხზე მუშაობა. აღმოსავლეთ ევროპიდან სხვადასხვა წყაროს დამუშავების შემდეგ დავწერე ჟურნალისტური გამოძიება სან-ანტონიოს ექსპრესნიუსში, რომელიც მოზესის და სააგენტოს შვილად აყვანის პრაქტიკის ჩრდილოვან მხარეებს შეეხებოდა. ამ სტატიით გამოწვეული რეაქცია ინტერნეტის ძალაზე მეტყველებს.

ჩემი სტატია რამდენჯერმე გამოქვეყნდა შვილად აყვანის საქმეებზე მომუშავე სადისკუსიო კლუბებისა და სხვა ინტერნეტ-ჯგუფების საიტებზე. ვირტუალურ სამყაროში ცხელი დებატები გაჩაღდა. მოზესის თანამშრომლებმა კრიტიკას იმით უპასუხეს, რომ სტატია მხოლოდ და მხოლოდ მოზესის მოღვაწეობის შემაფასებელი ნეგატიური მასალა იყო. მათ ამ სტატიას „გადაუმოწმებელი“ უწოდეს და თქვეს, რომ მოზესი იყო კარგი და პატიოსანი ადამიანი.

სანტა-ბარბარას საოლქო პროკურატურამ მოზესის წინააღმდეგ 62 მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული ამოწია, ყველა შვილად აყვანასთან იყო დაკავშირებული. 2008 წლის გაზაფხულზე ორსონ მოზესი გაიქცა.

მეორე შემთხვევაში, ჟურნალისტები ბალკანეთში ელექტროენერგიის ინდუსტრიის საქმის გამოძიებისას ლონდონის კომერციულ სასამართლოში განხილულ საქმეს გადაეყარნენ. ამ საქმეში ერთ–ერთი რუსი ოლიგარქი მეორეს უჩიოდა. ამ საქმის მასალების თანახმად გაიხსნა ინფორმაცია აღმოსავლეთ ევროპაში მათი ერთობლივი ბიზნესის შესახებ. ისინი საუბრობდნენ იმაზე, თუ როგორ დაპატიჟეს სახელმწიფო მოხელეები აღმოსავლეთ ევროპიდან ლონდონში და შემდეგ – მონაკოში ერთ-ერთი გარიგების დადების წინ, რომლითაც მნიშვნელოვანი საწარმოო უძრავი ქონება მათ ხელში უნდა გადასულიყო. ეს ინფორმაცია ძალზედ ღირებული აღმოჩნდა და გახდა

ერთ-ერთი პროექტის ნაწილი, რომელმაც 2007 წელს ტორონტოში (კანადა) საგამოძიებო ჟურნალისტიკაში პირველი მსოფლიო ჯილდო დაიმსახურა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოება ინტერნეტით გამოგვეხმაურა გაშვილების საკითხებზე. რაც შეეხება კომერციულ თემაზე  ჟურნალისტურ გამოძიებას, საეჭვო ბიზნესმენებს და კრიმინალურ დაჯგუფებებს,  ჩვენს ნამუშევრებზე რეაგირებას, შესაძლოა, ფინანსური ორგანიზაციებისგან ველოდოთ.

ასეთი სტატიების გამოქვეყნების შემდეგ ბალკანელ ჟურნალისტებს ხშირად აკითხავენ  კერძო აუდიტორები, გამომძიებლები. მათ სურთ მიიღონ მეტი მონაცემები და დოკუმენტები კლიენტებისთვის, ვინც  გამოძიებაში ნახსენებ კომპანიებში ინვესტირებით ინტერესდება.

ასეთი კომპანიების დამქირავებლები, შესაძლოა, იყვნენ კეთილსინდისიერი ბიზნესმენებიც, ვისაც არ უნდა ფულის დაკარგვა საეჭვო ორგანიზაციებში მისი დაბანდებით. ისინი google.com-ში სტატიებს პოულობენ და უნდათ, რომ მეტი იცოდნენ მათთვის საინტერესო თემაზე.

ჟურნალისტებს შეუძლიათ ასეთი დაინტერესებული პირები ღია წყაროებთან ან მათ სტატიებში მითითებულ მონაცემთა ბაზებთან გადაამისამართონ. თუმცა, აუდიტორი კომპანიების და კერძო გამომძიებლების მუშაობა მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული, რათა ჟურნალისტებმა თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი.

ჟურნალისტების ნამუშავარს ასევე ხშირად იყენებენ უშიშროების სამსახურები, რომელთათვისაც ღია წყაროების და ინტელექტუალური რესურსის გამოყენება, შესაძლოა, ინფორმაციის ღირებული წყარო გახდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე საზღვრებსმიღმა გარემოს ეხება.

უშიშროების სამსახურების და კერძო სააუდიტო სამსახურების მიერ გაკეთებული არაერთი მოხსენება  მინახავს, სადაც ჟურნალისტური გამოძიება მოიხსენიება.




### კომპიუტერული პროგრამები და ინტერნეტზე დაფუძნებული ანალიზი

ინტერნეტის განვითარებასთან ერთად საერთაშორისო გამოძიებით დაკავებული ჟურნალისტები ვერ აუდიან ინფორმაციის აურაცხელ ნაკადს. ამ ინფორმაციის გადასამუშავებლად და გასაგებად ჟურნალისტები კომპიუტერულ პროგრამებს იყენებენ.

ბალკანეთის ჟურნალისტები 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აგროვებდნენ მონაცემებს კომპანიების შესახებ, ინახავდნენ მათ საკონტაქტო ინფორმაციას, სასამართლო განხილვებს და სხვა სახის დოკუმენტებს. არქივები, რომელსაც ისინი ქმნიან ფასდაუდებელია, როდესაც საქმე ეხება კრიმინალურ სტრუქტურებში ფულის მოძრაობის გაკონტროლებას, განსაკუთრებით  თუ ჟურნალისტები ამ ყოველივეს კომპიუტერული პროგრამების დახმარებით აკეთებენ.

კრიმინალური სტრუქტურების ჩამონათვალისთვის გასაკეთებლად ჟურნალისტები ბალკანეთის საგამოძიებო ჟურნალისტიკის ცენტრთან ერთად იყენებენ ისეთ პროგრამას, როგორიცაა ,,12''. ამ პროგრამის მეორე სახელწოდებაა ,,ანალიტიკოსების წიგნაკი''. მისი შემქმნელების განმარტებით, ეს არის მოწინავე საგამოძიებო ანალიტიკური პროგრამა სამართალდამცავებისთვის, მთავრობისთვის, სამხედრო, უსაფრთხოების და კომერციული ორგანიზაციებისთვის. პროგრამა საშუალებას აძლევს გამომძიებლებს და ანალიტიკოსებს ერთი შეხედვით რთული, კომპლექსური და მოცულობითი მონაცემთა ბაზებიდან ადვილად და მოკლე დროში გაიგონ და დააკავშირონ ერთმანეთთან ე.წ. ლოგიკური სცენარები.

,,12''-ს ასევე შეუძლია დაეხმაროს გამომძიებელ ჟურნალისტებს მთავრობის და კომპანიის რთული მონაცემთა ბაზების გაანალიზებაში და მოვლენათა ჯაჭვის აღდგენაში.

პრაქტიკულად, ,,12'' არის სოციალური ქსელის ანალიზის ბერკეტი, რომელიც საშუალებას აძლევს მის მომხმარებელს სისტემაში მოიყვანოს ცოდნა, დააკავშიროს ერთმანეთთან ინდივიდები, საკვანძო მომენტები, კომპანიები, სხვა სახის დაწესებულებები, თუ მოვლენებს შორის კავშირები. ,,12''-ის გარდა, არსებობს სხვა მრავალი სახის კომპიუტერული პროგრამა (NetMiner, UCnet, Pajek და სხვა). მაგალითად: ასობით ტექსტური ფაილი, excel-ის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს კომპანიის შესახებ ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა კომპანიების სახელწოდებები, მოწილეთა რაოდენობა და ვინაობა, მისამართები, დაბადების თარიღები, ,,12''–ში შესაძლოა იმგვარად გარდაიქმნას, რომ ,,ანალიტიკოსის წიგნაკმა'' საერთო სახელწოდებებს შორის ხილული კავშირი დაადგინოს. თუ 564-ე და მე-3-ე გვერდებზე ერთი და იგივე მისამართი შეგხვდათ, ,,12'' პოულობს ამ კავშირს და წარმოგიდგენთ მას ცხრილში. ,,12'' აგრეთვე აფიქსირებს კავშირებს სახელების, დაბადების თარიღების ან ქვეყნების მიხედვით. ამგვარად, კავშირების დადგენა, რომელიც ჟურნალისტს გაუჭირდებოდა მონაცემთა ბაზების აურაცხელი რაოდენობის გამო, დღეს უკვე შესაძლებელია კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით.

შესაბამისად, ბევრი სხვა სახის ანალიზი, შესაძლოა, მონაცემებად გარდაიქმნას და დადგინდეს საერთო მახასიათებლები. ასე მაგალითად: ერთხელ, როდესაც გამოძიებაზე ვმუშაობდი, ,,12''-ის მეშვეობით აღმოვაჩინე, რომ სიგარეტის კონტრაბანდით დაკავებული პირები ერთსა და იმავე მისამართს იყენებდნენ

რუმინეთში კომპანიების დაფუძნებისას. შემდეგ მე გავაანალიზე მონაცმები და დავადგინე მათი გადაადგილების გრაფიკი რუმინეთსა და მის საზღვრებს გარეთ.

,,12'' აგრეთვე ძალზედ საჭიროა, როდესაც ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაციის დახარისხება გჭირდებათ. მაგალითად: ,,12''–ის ცხრილის თავში შეგიძლიათ ჩაწეროთ კომპანიის სახელწოდება, ქვემოთ კი პირები, ვინც ამ კომპანიასთან არის დაკავშირებული და მათი ბიზნეს-კავშირები.

რასაკვირველია, იგივე შეიძლება გაკეთდეს Word-ში ანდა Power Point-ში, მაგრამ ,,12''- ის სპეციფიკურობა იმაშია, რომ მეტატექსტებში ყველა დამხმარე და თანმყოლ მასალას თითოეული ობიექტის გასწვრივ ათავსებს. ამას გარდა, მრავლობითი და ასობით კავშირის მქონე ცხრილები შესაძლოა შერწყმული იყოს ისე, რომ დამატებითი ბმულები შეიქმნას. (იხილეთ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს ცხრილი). თითოეული ფანჯარა ცხრილში შეიძლება გამყარდეს დოკუმენტით და იმ წყაროთი, რომელიც ჟურნალისტმა გამოძიებისათვის სასარგებლოდ მიიჩნია. მაგალითად, თუ ინფორმაცია კომპანიის ოფიციალური ჩანაწერებიდან არის მოპოვებული, შემდეგ ეს ინფორმაცია შესაძლოა დახარისხდეს, როგორც ძალზედ მნიშვნელოვანი. თუ უშიშროების სამსახურების ანგარიშიდან მოპოვებული ინფორმაცია არ არის გადამოწმებული სხვა წყაროებში, ის კლასიფიცირდება როგორც ნაკლებმნიშვნელოვანი.

,,12''–ის შესაძლებლობები კიდევ უფრო იზრდება, როდესაც მას გამოიყენებენ ჟურნალისტთა მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზებში. ის, შესაძლოა, გამოყენებული იყოს Groove-თან ერთად, ეს გახლავთ სათანამშრომლოდ განკუთვნილი პროგრამა, რომელიც ვირტუალური ნიუსრუმის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. Groove ფუნქციონირებს, როგორც დამაკავშირებელი ხიდი სხვადასხავა ჟურნალისტ გამომძიებელს შორის და უზრუნველყოფს მათთვის მონაცემთა ბაზების, ვიდეო, აუდიო, ტექსტური ინფორმაციის გაცვლისთვის დაცულ სამუშაო სივრცეს. Groove-ს ბალკანელი ჟურნალისტები რეგიონულ პროექტებზე მუშაობის დროსაც იყენებენ. რამდენიმე ასეთი პროექტი შეგიძლიათ იხილოთ http://www.reportingproject.net-ზე. აქ დადებული მონაცემების დამუშავება შეიძლება ,,12''–ში სხვადასხვა ქვეყნიდან მომდინარე ინფორმაციას შორის კავშირის დასადგენად.

,,12''-ს იგივენაირად იყენებენ სამართალდამცავები. ჯეი ლეიბოვიცის წიგნში, „სტრატეგიული უსაფრთხოება“, რომელიც ინფორმაციის ანალიზს ეძღვნება, ნათქვამია, რომ სერიული მოძალადეების, წამლის რეცეპტით თაღლითობის საქმეების გამოძიებისას და ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზეც კი სწორედ

